

K98 581
3

3300000000
3300000000



98-581
3

მ. გუაჯიშვილი


ღვინის კაღვავეს
მიზანები და მათი
გამოსწორების ზოგიერთი
სახუალი



გ. დ. გუჯეჯიანი

66
საქართველო
სახლ-მუზეუმი

ლიტერატურული
და მუსიკურის
წოდილობის
სამუზეუმი

K 98.581
3



სახლ-მუზეუმის გამოცემობა

„საბჭოთა საჩართველო“

080806-1961

ავტორის სტანდარტი

ცლვინო, როგორც ბიოლოგიური სითხე, დამატებითან (დაწურვიდან) დავარგებამდე მთელ რიგ რთულ ქიმიურ და ბიოქიმიურ გარდაქმნებს განიცდის. ამ გარდაქმნათა გზაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც თავისებურ გავლენას ახდენენ საბოლოო პროცესების ხარისხზე.]

მეღვინეობის პრაქტიკაში დიდად საზარალო მოვლენას წარმოადგენს დაწმენდილი და დავარგებული ლვინოების ხელმეორედ ამღვრევა, რაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათი მოვლენაა.

წინამდებარე ბროშურა მიზნად ისახავს მოკლედ გააცნოს მკითხველს ლვინის ამღვრევის ზოგიერთი მიზეზი და მათი გამოსწორების მეთოდები.

I. ლეინის გდგრადობაზე მოქალა ვაჭორები

ყურძნის წვენის ალკოჰოლური დუღილის შედეგად მიიღება რთული შედეგნილობის ბიოლოგიური სითხე, რომელიც თვისობრივად ძლიერ განსხვავდება საჭყისი ნედლეულის შედეგენილობისაგან. ამ ბიოლოგიური სითხის სათანადო ტექნოლოგიური სქემებით დამუშავების შედეგად მიიღება სხვადასხვა ტიპისა და მარკის ღვინოები, — მშრალი, ნახევრადტკბილი, ✓ შემაგრებული, სადაც სურტო, ლიქიორული, შამპანური და ა. შ.

ლვინის მდგრადობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათგან ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ზოგიერთს, კერძოდ იმათ, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლვინის შენახვა-მოვლის პროცესში და რომელთა ცოდნაც აუცილებელია მეღვინე-ტექნოლოგიისათვის. ეს ფაქტორებია: ლვინის რეალური შეავიანობა, ჟანგვა-ალლგენითი პოტენციალი და ბიოლოგიური სიმტკიცის კოეფიციენტი.

1. የዚህንና ስዕስት ደንብ በመሆኑ

ლვინის რეალური. მეგვიანობა დამოკიდებულია ლვინოში არსებულ მეგვათა დისოციაციის ხარისხზე—წყალბადიონთა კონცენტრაციაზე.

იმისათვის, რომ განესაზღვროთ რომელიმე ხსნარის წყალ-ბადიონთა კონცენტრაცია, საჭიროა ვიცოდეთ ამ ხსნარის ნორმალობა და გახსნილი ნივთიერების დისოციაციის ხარისხი. ნორმალობის ნამრავლი დისოციაციის ხარისხზე გვაძლევს წყალბადის ონების კონცენტრაციას, ხოლო მისი ლოგარითმი უარყოფითი ნიშნით გვაძლევს მოცემული ხსნარის წყალბადის ონების მაჩვენებელს.

მხედველობიდან არ უნდა გამოვეტჩეს ის ფაქტი, რომ თანაბარი ტიტრული მჟავიანობის ღვინოებს შეიძლება სხვა-დასხვა რეალური მჟავიანობა (pH) ახასიათებდეს, და პირი-



ქით,—სხვადასხვა ტიტრული მჟავიანობის ღვინოებს შეიძლება ჰქონდეთ ერთი და იგივე pH.

ღვინის pH მდებარეობს 2,7—3,7 საზღვრებში. იგი მეტად თვალსაჩინო როლს ასრულებს ღვინის წარმოებისა და შენახვის დროს მიმდინარე თითქმის ყველა პროცესში.

განვიხილოთ ეს პროცესები ცალ-ცალქე:

1. ტკბილის pH-ის მნიშვნელობაზე დამოკიდებულია ალკოჰოლური დუღილის თანმდევი პროდუქტების რაოდენობა. მაღალი pH-ის დროს მეტი რაოდენობით წარმოიშობა მქროლავი მჟავები, გლიცერინი და ქარვის მჟავა;

2. დაბალი pH თრგუნაგს სხვადასხვა ბაქტერიების მოქმედებას. ასე, მაგალითად; როდესაც pH<3, წყდება ვაშლმჟავა-რემჟავა ბაქტერიების მოქმედება; როდესაც pH>3,5, ადვილად ვითარდებიან ღვინის მჟავას დამშლელი ბაქტერიები;

3. ღვინოების დაავაზება რკინისა და სპილენძის კასით დამოკიდებულია ღვინის pH-ის მნიშვნელობაზე;

4. ღვინის pH გავლენას ახდენს გაწებვაზე. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ ღვინის ორი ნიმუშიდან, რომელთა pH-ის განსხვავება არ აღმატება 0,2-ს, მათი ერთი და იმავე წესით გაწებვის დროს ერთი ნიმუში კარგად იწმინდება, მეორე კი ცუდად;

5. ღვინის ბენტონიტით დამუშავების დროს გაცილებით უკეთესი ეფექტი მიიღება დაბალ pH-ზე.

რეალურ მჟავიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღვინის შენახვის საქმეში. წყალბადიონთა კონცენტრაცია სპირტის კონცენტრაციასთან ერთად განაპირობებს ღვინის გამძლეობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღვინის მჟავე გემო, რომელიც გემოვნებითი ორგანოების საშუალებით შეიგრძნობა, გამოწვეულია ღვინის რეალური მჟავიანობით და არა ტიტრული მჟავიანობით, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ ადასტურებს რეალური მჟავიანობის მნიშვნელობას ღვინის გემოზე.

2. ღვინის ზანგვა-აღდგენითი პოტენციალი

უახლეს გამოკვლევათა საფუძველზე დადგენილია, რომ ყურძნის წვენის ალკოჰოლური დუღილიდან ვიდრე ღვინის

დაშლის სტადიამდე ღვინოში მიმდინარე რეაქციები დაკავ-
შირებულია უანგვა-ალდგენით პროცესებთან, რომლებიც ცუკრავის
მხრივ, გარკვეულ ცვალებადობას განიცდიან ღვინის განვითა-
რების სხვადასხვა სტადიაზე.

ღვინის ტიპს ძირითადად განსაზღვრავენ ღვინის ტექ-
ნოლოგიური დამუშავებისას მიმდინარე უანგვა-ალდგენითი
პროცესები. ამიტომ მეღვინე-ტექნოლოგი მოვალეა საჭიროე-
ბისამებრ შეაჩეროს ან ინტენსიურად წარმართოს ესა თუ ის
პროცესი და სათანადო გამოიყენოს სხვადასხვა ხერხი: მე-
ტალების მოცილება, თერმული დამუშავება, სულფიტაცია,
აერაცია და სხვ.

თუ უურნის გაღამუშავების წესები განსაზღვრავენ ღვი-
ნის ტიპს, შეფერვას, ქიმიურ შედგენილობასა და ა. შ., სა-
მაგიეროდ, ღვინის შემდგომი ტექნოლოგიური დამუშავება
განაპირობებს უანგვა-ალდგენითი პროცესების ინტენსიურო-
ბას, რასთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ღვინის ხარის-
ხობრივი მაჩვენებლები.

საკითხი ჰაერის უანგბადის გავლენის შესახებ ღვინის ხა-
რისხე ამჟამად მეცნიერულად არის შესწავლილი და ექსპე-
რიმენტულ და თეორიულ მოსაზრებათა საფუძველზე შემუ-
შავებულია ახალი შეხედულება ღვინოში მიმდინარე უანგვა-
ალდგენითი პროცესების შესახებ.

ელექტროჯიმიის თვალსაზრისით დაუანგვა არის მოლე-
კულის ან ატომის მიერ უარყოფითი ელექტრული მუხტის
დაკარგვა ან დადებითი ელექტრული მუხტის შეერთება; სა-
პირისპირო პროცესი კი, ე. ი. მოლეკულის ან ატომის მიერ
უარყოფითი ელექტრული მუხტის შეერთება ან დადებითი
ელექტრული მუხტის დაკარგვა, წარმოადგენს ალდგენას.

ხსნარის კომპონენტების (ჩვენს შემთხვევაში ღვინის კომ-
პონენტების) მიღრეკილება დაუანგვისადმი ან ალდგენისადმი
განსაზღვრავს ელექტრომამოძრავებელ ძალას სიღიდეს, რო-
მელსაც უანგვა-ალდგენითი პოტენციალი ეწოდება და ალინიშ-
ნება Eh-ით. მისი სიღიდით შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ
რომელი პროცესი ჭარბობს ღვინოში—დაუანგვითი თუ ალდ-



გენითი. ამჟამად დადგენილია ღვინის Eh-ის შემდეგ ზოგი რენტაციის ზღვრები:

1. კასრებში დაძველებული სუფრის ღვინოებისათვის

$Eh = 0,36 - 0,41$ ვოლტს;

2. ბოთლებში დაძველებული სუფრის ღვინოებისათვის

$Eh = 0,15 - 0,28$ ვოლტს;

3. შამპანური ღვინოებისათვის

$Eh = 0,20 - 0,35$ ვოლტს;

4. შემაგრებული და სადესერტო ღვინოებისათვის

$Eh = 0,38 - 0,50$ ვოლტს.

ღვინის უანგვა-ალდგენითი პოტენციალის მნიშვნელობაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, აქ კი ზოგადად აღვნიშნოთ შემდეგი:

1. Eh-ის სხვადასხვა მნიშვნელობისას წარმოიქმნება სხვა-დასხვა ნივთიერება, ხოლო მისი ერთი და იმავე მნიშვნელობის დროს ერთი ნივთიერება შეიძლება დაუანგულ ფორმაში არსებობდეს, ხოლო მეორე კი—ალდგენილ ფორმაში.

2. Eh-ის მნიშვნელობაზე დიდ გავლენას ახდენს მძიმე ლითონები (რკინა, სპილენძი), ენზიმები და ჰაერის უანგბადი.

ამ უკანასკნელის გავლენა განსაკუთრებით მყაფიოდ მუღლავნდება შუალედი დამჟანგველების არსებობის დროს.

3. ღვინის უანგვა-ალდგენითი პოტენციალის სიდიდეზე დამოკიდებულია სიმღვრივის ზოგიერთი სახე.

3. ღვინის ბიოლოგიური სიმტკიცის კოეფიციენტი

ღვინის ბიოლოგიური სიმტკიცის ქვეშ იგულისხმება ღვინის ისეთი მდგომარეობა, როდესაც შეზღუდულია მიკრო-ორგანიზმების, კერძოდ საფუვრების მოქმედება. ღვინის მდგრადობაზე გავლენას ახდენს ღვინის ქიმიური შედგენილობა, ტემპერატურა, წყალბადიონთა კონცენტრაცია, ანტისეპტიკები და სხვ.

ბიოლოგიური სიმტკიცის კოეფიციენტის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადესერტო და შემაგრე-



ბული ღვინოების ტექნოლოგიაში, რადგანაც ასეთ ღვინოების ში შაქრის არსებობა ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს საფუვრების განვითარებისათვის.

ახალგაზრდა საბჭოთა მქონევარმა პ. ვ. კოჩერგამ მოგვცა ღვინის ბიოლოგიური სიმტკიცის განსაზღვრის ფორმულა, რომელსაც საფუძვლად უდევს შემდეგი მოსაზრებანი:

1. ბუნებრივი საფუვრები სწყვეტენ თავიანთ მოქმედებას, როგორც კი სპირტის დაგროვება ღვინოში მიაღწევს 18 მოცულობით პროცენტს;

2. საფუვრებს არ შეუძლიათ დაადულონ ბადაგი, თუ შაქრის კონცენტრაცია მასში 81% -ს უდრის.

მაშასადამე, 18 მოცულობითი პროცენტი სპირტი და 81% შაქარი თანაბრად მდგრადია საფუვრების მოქმედები ი მიმართ. ამიტომ მათ მაკონსერვებელ სიდიდეებს შორის პროპორციულობის დასადგენად უნდა მივმართოთ შემდეგ თანასფარდობას: $81 : 18 = 4,5$. ამ შეფარდებიდან ირკვევა, რომ მოცულობითი პროცენტი სპირტის მაკონსერვებელი უნარიანობა ექვივალენტური (ტოლი) ყოფილა $4,5\%$ შაქრისა.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე პ. ვ. კოჩერგამ მოგვცა შემდეგი ფორმულა:

$$K = S + 4,5Q,$$

ადაც K არის ბიოლოგიური სიმტკიცის კოეფიციენტი; S

— ღვინის შაქრიანობა $\%$ -ბით;

Q — სიმაგრე მოცულობით პროცენტობით.

ღვინო ბიოლოგიურად მდგრადია, როდესაც შემთ შაკონსერვებელი კოეფიციენტი $K \leq 81$.

ვიცით რა ღვინის სიმაგრე და შაქრიანობა, შეგვიძლია განვსაზღვროთ, არის თუ არა იგი ბიოლოგიურად მდგრადი.

ამ ფორმულის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ადვილად შეიძლება განვსაზღვროთ შაქრის მინიმალური რაოდენობა, როდესაც ცნობილია ღვინის სპირტიანობა, და პირიქით, შეგვიძლია განვსაზღვროთ ღვინის მინიმალური სპირტიანობა, როდესაც ცნობილია მისი შაქრიანობა.

II. ლვინის სიმღერის სახელი

როგორც ცნობილია, ლვინი წარმოადგენს პიგიენურ და დეიტურ სასმელს, რომელსაც დიდი სამკურნალო თვისებები ახასიათებს. ეს თვისებები განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოქვლავნებული ქართულ ლვინოებში.

ამღვრეული და დაზიანებული ლვინოები კი მოკლებული არიან სასარგებლო და სამკურნალო თვისებებს, ამიტომ, ცხადია, სიმღვრივის თავიდან აცილება კიდევ უფრო გაზრდის ლვინის მომარების ეფექტურობას.

ლვინის ამღვრევის შედეგად გამოიყოფა ნალექი, ლვინი იბურება, კარგავს დამახასიათებელ დაფებით თვისებებს და, მაშასადამე, მოხმარებით ღირებულებას. გარდა ამისა, ლვინის ამღვრევა იწვევს ზედმეტ საწარმოო ხარჯებს, რაც დაკავშირებულია მის ხელმეორედ დამუშავებასთან, დროის, მუშახელის და გამჭმენდი მასალების ზედმეტ დანახარჯებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა ძველთაგანვეა ცნობილი, დღეისათვის მაინც არ არის შემუშავებული ისეთი რაღიკალური ლონისძიება, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანდა ან გამორიცხავდა ლვინის ამღვრევის შესაძლებლობას. ამ საკითხის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ლვინის ამღვრევის პროცესში მოქმედებს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი და ამრიგად ერთი სახის სიმღვრივე შეიძლება მიზეზი გახდეს მეორე სახის სიმღვრივისა, ამასთან ხდება სხვადასხვა სახის სიმღვრივის ურთიერთ გადახლართვა, რაც ძალიან ართულებს საკითხის სწორად დაყენებას და შესწავლას. გარდა ამისა, რიგი ფაქტორებისა ერთ შემთხვევაში დადებითად მოქმედებს, ხოლო მეორე შემთხვევები—უარყოფითად. ასეთ ფაქტორთა რიცხვს მიეკუთვნება ლვინის რეალური მეურიანობა, ტიტრული მეურიანობა, ჟანგვა-ალღენითი პოტენციალი, SO_2 და მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესები, როგორიცაა კუპაჟი, თერმული დამუშავება, გადაღება, ჩამოსხმა და ა. შ.

ლიტერატურული მონაცემებისა და ჩვენს მიერ ჩატარებული ცდების საფუძველზე ლვინის ამღვრევის შემთხვევები შეიძლება დავყოთ შემდეგ ძირითად სახეებად (ცხრილი 1).

ლვინის ამლვრევის ძირითადი სახეები

სიმღერივის კატეგორიები	სიმღერივის სახეები	სიმღერივის წარმომშობი ნივთიერებანი	სიმღერივის მიკროსკოპუ- ლი გამოსა- ხულება
c	ცილოვანი	აზოტოვანი ნივთიერებანი პექტინოვანი ნივთიერებანი მთრიმდავი ნივთიერებანი	ამორფული ამორფული ამორფული
ე	გლუტინური	თევზის წებო და ჟელატინი	ამორფული
ნ	ფერმენტული	ფერმენტი ოქსიდაზა	ამორფული
ბ/	მეტალური	შავი კასი (რკინა+ტანინი) თეთრი კასი (რკინა+ფოს- ფერის მჟავა) სპილენძის კასი (სპილენ- ძი+გოგირდი)	ამორფული (თეთრი ნა- ლექი) ამორფული
ც	ღვინის ქვის გამოყოფა	ღვინომჟავას ნატრიუმის, კალიუმის ან კალციუმის მარილი	კრისტალური
ე/	საფუვერებისაგან გამოწვეული და ბაქტერიული	საფუვერების სხვადასხვა რასები სხვადასხვა ბაქტერიები	
ძ	ღვინში მოტიტ- ტევე მექანიკური ნაწილაკები	მექანიკური ნაწილაკები	
ა			

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ ღვინის ამღვრევის სხვადასხვა მიზეზებს. ლაპარაკი გვექნება მათი წარმოშობის ქიმიზმზე და დამუშავების მეთოდებზე.

1. የጊዜጌዎችኩን ማዕድገት

კოლოიდური სიმღვრივე ყველაზე ხშირ მოვლენას წარ-
მოადგენს ლვინის სიმღვრივის სახეებს შორის.

კოლოიდური სიმღერივის წარმოქმნის პროცესი ორ სტა-
ლიად იყოფა: იგი იწყება ქიმიური რეაქციებით (რკინის და-



յանցքա, և ամուսնութեան ալգոցին, մտրումլաց դա սահեծաց կազմակերպության հեծատա ցարձային), հռամելու շեցքածաց վարմութեանը կառաւությունուն նույտուրեցեցի (հյուսնու բանաւու, հյուսնու գուստաւու, կոլումությունուն սալեծացու նույտուրեծանու). ալնութեանը կոլումությունուն նույտուրեցեցի հյայլութեան ջասախութիւնուն վարմութեանը նույտուրեցած և առ ցողուան լցունու ցամքչուրցալութաս; և եցածասեցա ցայլուրտա ցավլենու (pH, էլեկտրություն, այրաւու, սինատլի) օժիցի մեռնու սրբածու, հռացեսաւ յս նույտուրեցեցի ցանութան կուցուրան ցավլենուաս, ցածածուան ցելու մցցումարյութանու և վարմութեան սոմլցրուցես.

կոլումությունուն սոմլցրուցու տցութեալու սահուսատցու — ցոլուցանու, ցլութիւնուն, ցյուրմենթյունու և մյութալունու սոմլցրուցուցեցածատցու ջամաხասանաւութեալու ուս, հռամ պոցցելու մաշանու ցանցծածուն մոշմեցեցուն շեցքած ցածածուն ենած ցորմանու, ան սեսնած ցորմանու. ցանցութեալու յս սոմլցրուցուցի ցալցի.

ա) Կոլուցանու սոմլցրուց. լցունու կոլուցանու նույտուրեցեցի մյացք արյունու դամությունու արուան ցածեցեցուած. ցածեցեցու մութիւն ցանձուրութեցունու ($-NH_2$) ամինոցցալութու, հուս ցամու ցոլա արուս գումարութու և ենածու. սայմարուսու հռամելութիւն ցայլուրտա ցավլենու (ցոլամ ցայլուրցու $-NH_2$) չցուցու, հռամ ոցու ցամուլցեցի լցունուած.

Կոլուցանու ցրայլութեան սեցածասեցա լցունուցեցածատցու սեցածասեցա, մաշրամ սամուլու ոցու առ ալցեմաւութեց 30 մոլոցրամի լութիւն. սայմարուսու յրտ լութիւն լցունուն 1 մոլոցրամի ցոլա ցածածուց ցելու մցցումարյութանու, հռամ լցունու ցամուց յիմուրու վրանաւութեան մցցումարյութան և ամլցրուց.

լցունու կոլուցանու սոմլցրուց սուրուածած շեցքեցի անուրուցան, չեյլութիւնուցան և մտրումլաց նույտուրեցեցածացան. Կոլուցանու նույտուրեցեցի լցունուն օմպուցեցուան կոլումություն մցցումարյութանու, ամաստան հաւ մյութիւն կոլումությունուն գումարութիւնու-սոլուցանուցու եարուսես, մուտ սուրու սրբալուրու լցունու. ամ նույտուրեցեցատա սոլուցանուցու եարուսես պայլանու մյութիւն մանուն, հռամ պա պH-ու մնությունը արու 2,5—3,0. ամուրու ասետու մյա-



ჭიანობის ლეინოები ცილოვან სიმღვრივეთა მიმართ მდგრადი არიან.

ცილოვანი ნივთიერებებისათვის დამახასიათებელია იზო-ელექტრული მდგომარეობა, ე. ი. როდესაც ცილები ადვილად იჭრებიან, კარგავენ სოლვატაციის გარსს, კოაგულირდებიან და გამოილექებიან ლვინიდან. რაც უფრო დაბალია ლვინის ორალური მჟავიანობა (მაღალია pH), მით უფრო ახლოს იმყოფებიან ცილოვანი ნივთიერებები იზოელექტრულ მდგომარეობასთან. ამიტომ არის, რომ დაბალი მჟავიანობის ლვინოები ადვილად ავადლებიან ცილოვანი სიმღვრივით.

პროფ. ა. მ. ფროლოვ-ბაგრევევის მონაცემებით, უმწიფარი ყურძენი გაცილებით მეტი რაოდენობით შეიცავს ცილოვან ნივთიერებებს, ვიდრე მწიფე ყურძენი. ამიტომ უმწიფარი ყურძნიდან დაყენებული ლვინო მეტ მიღრეკილებას იჩენს ცილოვანი სიმღვრივისადმი; ასევე მეტი რაოდენობით შეიცავენ ცილოვან ნივთიერებებს თეთრი ლვინოები, ვიდრე წითელი ლვინოები. ამიტომ თეთრი ლვინოებიც გაცილებით უფრო ხშირად იმღვრევა ცილოვანი სიმღვრივით, ვიდრე წითელი ლვინოები.

ცილოვანი სიმღვრივე მიეკუთვნება კოლოიდური სიმღვრივის მეორე ჯგუფს, ე. ი. ჟანგბადის მოქმედების შედეგად იგი გადადის უხსნად ფორმაში. ეს იქიდან მტკიცდება, რომ გაღაწებების შემთხვევაში ლვინო რამდენიმე ხნის განმავლობაში გამჭვირვალე რჩება, მაგრამ საკმარისია მისი განიავება, რომ წარმოიშობა ცილოვანი სიმღვრივე, ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ ჟანგბადის მოქმედების შედეგად ტანატები (ცილისა და ტანინის შეერთების პროდუქტი) უხსნადი ხდებიან და ლვინიდან ილექებიან.

ბ) გლუტინური სიმღვრივე: გლუტინი ცილოვანი ნივთიერებაა და წარმოადგენს ჟელატინისა და თევზის წებოს ძირითად შემაღენელ ნაწილს. ამიტომაც გლუტინური ნივთიერებებით ლვინის გამდიდრებისა და, მაშასადამე, გლუტინური სიმღვრივის წარმოშობის წყაროს წარმოადგენ სწორედ ეს გამჭებავი ნივთიერებები, განსაკუთრებით მაშინ, რო-



ცა მათი ხარისხი არადამაკმაყოფილებელია, ან როცა შრეგულების უძრავი აქვს ღვინის გადაწებებას.

გლუტინური სიმღვრივე განსაკუთრებით მგრძნობიარეა სიცივისაღმი, ე. ი. იგი გამოიყოფა ღვინის გაციების შედეგად. თუ გლუტინი ძალიან დიდი ხნის გამოყოფილი არ არის, იგი შესაძლოა კვლავ გაიხსნას გათბობის შედეგად და ამღვრეული ღვინო ისევ გამჭვირვალე ხდება.

თანამედროვე შეხედულებით გლუტინური სიმღვრივის ეს თავისებურება იმით აისხება, რომ დაბალ ტემპერატურაზე ცილოვან ნივთიერებათა დეპილრატაციის შედეგად ცილაზოლის მდგომარეობიდან გადადის გელის მდგომარეობაში, გაცხელების შედეგად კი ადგილი აქვს ჰიდრატაციას და გლუტინი კვლავ გადადის ზოლის მდგომარეობაში. ღვინო, რომელიც მეტი რაოდენობით შეიცავს დამცველ ქოლოიდებს, მეტ გამძლეობას იჩენს გლუტინური სიმღვრივისაღმი.

გლუტინური სიმღვრივით დაზიანებული ღვინო ძნელად იფილტრება. მისი მიკროსკოპული გამოსახულება შემდეგია: ჩანს ძალიან პატარა სფეროსებური ნაწილაკები. სიმღვრივე ქრება $35-40^{\circ}\text{C}$ გაცხელებით და სწორედ ეს თვისება განასხვავებს მას წმინდა ცილოვანი სიმღვრივისაგან.

გლუტინური სიმღვრივის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს გამწებავი ნივთიერებების მაღალხარისხოვნება, მათი სიახლე და გაწებვის პროცესის სწორად ჩატარება.

გ) ფერმენტული სიმღვრივე. ღვინის საღებავ ნივთიერებებზე ჰაერის მოქმედება პირველად ახსნა ფრანგმა მეცნიერმა ლუი პასტერმა. შემდგომმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა და განსაკუთრებით კი ფერმენტ ოქსიდაზას (*oxydasa*) აღმოჩენამ კიდევ უფრო გაამდიდრა წარმოდგენა საღებავ ნივთიერებათა დაუანგვის მექანიზმზე.

დღეისათვის საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ფერმენტი ოქსიდაზა დაუანგვით პროცესების კატალიზატორს წარმოადგენს, რომელიც ძირითადად მიმართულია საღებავი, მთრიმლავ და არომატულ ნივთიერებათა მიმართ.

პროფ. ს. ვ. ღურმიშიძის აზრით, ღვინის საღებავი ნივთიერებანი ყურძნის გადამუშავების პროცესში და ღვინის

დავარგება-დაძველების ღროს გარევეულ გარდაქმნებს განიც-
დიან, რომელთან აღსანიშნავია შემდეგი:



1. ფერმენტების გავლენით იუანგებიან საღებავები;
2. საღებავი ნივთიერებანი განიცდიან პოლიმერიზაციას და არეში ჩნდება საღებავები კოლოიდების სახით;
3. დაუანგვის შედეგად მთრიმლავი და საღებავი ნივთიერებანი გადადიან უხსნად მდგომარეობაში და გამოილექტბიან ღვინიდან.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჯანსაღი ყურძენი ფერმენტი ოქსიდაზას მხოლოდ ნიშნებს შეიცავს, ხოლო დამპალი და დაზიანებული ყურძენი იმავე ფერმენტს მეტი რაოდენობით შეიცავს, ადვილად დაგრწმუნდებით, რომ ფერმენტული სიმღვრივით ღვინის დაუაღების მიზეზს დამპალი და დაზიანებული ყურძენი წარმოადგენს.

ფ. ი. გონჩარენკომ შეისწავლა ფერმენტული სიმღვრივის გამომწვევი მიზეზები და დაამტკიცა, რომ ფერმენტი ოქსიდაზა იშლება 50° -ზე გაცხელებით 30 წუთის განმავლობაში. დაბალ ტემპერატურაზე იგი არ იშლება და მინუს 28° ზეც ინარჩუნებს აქტიურობას.

ფერმენტი ოქსიდაზა თავის დაუანგვით მოქმედებას განაგრძობს ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ, ე. ი. მაშინ, როდესაც ღვინო თავისუფლდება საფუვრებისაგან, რომლებიც თავიანთი ცხოველმოქმედების ღროს აღდგენითი თვისებებით ხასიათდებიან.

ფერმენტი ოქსიდაზას შემცველი ღვინო ჰაერის მოქმედების შედეგად (ნაკლული კასრები, ტრანსპორტირება, გადალება, გაწებვა, ჩამოსხმა) მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, რის შედეგადაც თეთრი ღვინო იბურება, ხოლო წითელი ღვინო უფერულდება. ამასთან ღვინო კარგავს თავის ბუკეთს (ძველი ღვინოები), არომატს და უშინაარსო ხდება.

ფერმენტი ოქსიდაზას თანაარსებობის ღროს ტანინის დაუანგვის შედეგად წარმოიქმნება ფლობაფენი, რომელსაც ხსნარში აქვს მოწითალო-მოყავისფრო შეფერვა, ამიტომაც

ოქსიდაზური დაუანგვის შედეგად თეთრი ლვინო იბურება, კურაცელი
ხოლო წითელი გადაიკრავს მოყვისფრო შეფერვას. პილატი

ფრანგი შეცნიერები—უირარი, ლინდე, გეიდე და ვანტრი ყურძნის წვენში ერთდროულად პოულობდნენ ენოტანინს და ფლობაფენს. მათ შეამჩნიეს, რომ ენოტანინს შემცირებით იზრდება ფლობაფენის რაოდენობა; ამის მიზეზია ის, რომ დაავადებული ჭურძნიდან მიღებულ ლვინოში ენოტანინი ადვილად იჯანგება, წარმოიშობა ფლობაფენი და ლვინო შებურული ხდება.

ოქსიდაზური კასის შედეგად გამოყოფილი ნალექის შედეგენილობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ ნალექი წარმოადგენს ალდეპიდების შენაერთს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებთან; სხვების აზრით კი იგი წარმოადგენს ცილების შენაერთს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებათა გახლების პროდუქტებთან.

ფერმენტული სიმღერივით დაზალიანებული ლვინოების მკურნალობისას უნდა გამოყიუნოთ შემდეგი საშუალებები:

1. ლიმონის მჟავას ან გოგირდოვანი მჟავას ანჭიდრიდის მიმატება და გაწებვა კაზეინით;
2. მჟავიანობის და ტანინის მიმატება, თერმული დამუშავება (გაცხელება $40-50^{\circ}$ -ზე) და გაწებვა კაზეინით.

(დ) მეტალური სიმღერივის ზოგადი დახასიათება. რკინა და სპილენძი ლვინის მინერალური ფრაქციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. ისინი გარკვეულ მონაწილეობას ღებულობენ ქანგვა-ალდენით პროცესებში და განაპირობებენ ლვინის როგორც დადებით, ასევე უარყოფით თვისებებს.

რკინასა და სპილენძს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლვინის გაწებვის საქმეში; ცნობილია, რომ გაწებვის შედეგად ლვინო გაცილებით უკეთესად და მაღე იწმინდება, თუ მასში რკინის რაოდენობა აღწევს $5-15$ მილიგრამს ლიტრზე. ამ მოვლენას კარგად ხსნის კოლოიდური ქიმია: შულცე-ჰარდის წესის თანახმად, რაც უფრო მაღალია კოაგულაციის გამომწვევი იონის ვალენტობა, მათ უფრო დაბალი კონცენტრაციის პირობებში ხდება ზოლის კოაგულაცია.



ამ დებულებიდან ცხადი ხდება, რომ ღვინოში საჭარბელო
ტოვანი რკინის მაკოაგულირებელი უნარი გაცილებით მეტია,
ვიდრე ორვალენტოვანი რკინისა, ხოლო კაბაგულაცია ძლიერ
ნელა მიმდინარეობს, როდესაც ღვინო არ შეიცავს რკინის
იონებს. ამიტომაც გაწებვის წინ ღვინოს ცოტას გაანიავებენ
ხოლმე. ეს ღონისძიება მიზნად ისახავს ღვინოში არსებული
ორვალენტოვანი რკინის გადაყვანას სამვალენტოვან ფორმა-
ში, რაც ზრდის კოაგულაციის სიჩქარეს და ეფექტს.

ღვინოში რკინისა და სპილენძის დოზების მატება ქმნის
ღვინის ამღვრევის საშიშროებას. ზოგჯერ, კერძოდ კი უხა-
რისხო მანქანა-იარაღების გამოყენებისა და ტექნოლოგიური
პროცესების უხეში დარღვევის შემთხვევაში, რკინის რაოდე-
ნობამ შეიძლება მიაღწიოს 60—80 მილიგრამს ლიტრზე.

ფრანგი მეცნიერის ე. პეინოს აზრით, ღვინოში რკინის
არსებობა დამოკიდებულია პირველად მასალაზე, მიწით და-
ბინძურებაზე და მეღვინეობაში ხშარებულ აპარატურაზე. მი-
სი აზრით, ტექნოლოგიური პროცესების შედეგად, ღვინო ინ-
ტენსიურად მდიდრდება რკინით და მისი რაოდენობა ერ-
თიორად და ერთიოთხად მეტი ხდება, ვიდრე ყურძნის
წვენში.

ტქბილსა და ღვინოში რკინა შეიძლება არსებობდეს რო-
გორც ქვეუანგის, ასევე ჟანგის მდგომარეობაში. ჟანგვა-ალდ-
გენითი პროცესების ცვალებადობისდა მიხედვით რკინა შეიძ-
ლება ქვეუანგის ფორმიდან ჟანგის ფორმაში გადავიდეს, და
პირიქით. ალკოჰოლური დუღილისა და სულფიტაციის დროს
ჭარბობს ალდგენითი პროცესები და რკინა ქვეუანგის ფორ-
მაში არსებობს; ლია გადალების დროს კი ღვინო ჟანგბადით
მდიდრდება და რკინა ჟანგის ფორმაში გადადის.

ღვინოების დამუშავების პროცესში (ფილტრაცია, გადა-
ლება, გაწებვა, დასპირტვა, გაციება და სხვ.) რკინის რაო-
დენობა მცირდება. ეს იმით აიხსნება, რომ ამ პროცესების
დროს ძლიერდება ღვინოში ჟანგვითი პროცესები, რომ შედეგადაც რკინა ქვეუანგის ფორმიდან (FeO) გადადის
ჟანგის ფორმაში (Fe_2O_3). რკინის ჟანგის მარილები კი ნაკ-
ლებებსნადნი არიან, ვიდრე ქვეუანგის მარილები, და ამიტო-



მაც დაუანგვის შედეგად რკინა გადადის უხსნად ფორმაში და გამოილექება ღვინიდან.

რკინის ჭარბმა რაოდენობამ შეიძლება გამოიწვიოს ორი სახის სიმღვრივე: შავი ქასი და თეთრი ქასი (თვითეულ მათგანზე ცალკე გვექნება ლაპარაკი); ხოლო სპილენძის ზედმეტმა რაოდენობამ შეიძლება გამოიწვიოს სპილენძის ქასი.

დადგენილია, რომ სხვადასხვა ტიპის ღვინოებს რკინისა და სპილენძისადმი სხვადასხვა გამძლეობა ახასიათებს. რკინისა და სპილენძის ერთსაღაიმავე რაოდენობას ყველაზე ნაკლებ უძლებენ მშრალი თეთრი ღვინოები, უფრო მაღალი გამძლეობისაა ხერესი, მშრალი ვერმუტი, მშრალი წითელი ღვინოები და ყველაზე მეტად გამძლეა სადესერტო ღვინოები.

მეტალური სიმღვრივის (შავი ქასი, თეთრი ქასი, სპილენძის ქასი) თავიდან აცილების მიზნით სხვადასხვა საშუალებას მიმართავენ. მათგან აღსანიშნავია სისხლის ყვითელი მარილის, ბენტონიტისა და კალციუმის ფიტატის გამოყენება.


განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს იონმცვლელი ფისების გამოყენება.

იონმცვლელი ფისები მიეკუთვნებიან მაღალმოლექულურ ნაერთებს, რომლებიც პრაქტიკულად უხსნაღნი არიან წყალში და ჩვეულებრივ გამხსნელებში. მათ უნარი შესწევთ ელექტრულ ხსნარებთან შეხების დროს მოახდინონ იონთა ურთიერთ გაცვლა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეღვინეობის ლაბორატორიაში პროფესორ გ. ი. ბერიძისა და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ კ. მ. სალდაძის ხელმძღვანელობით ჩვენს მიერ მეღვინეობის თვალსაზრისით გამოცდილ იქნა მაღალმუავიანი კათიონიტი Ky-2, რომელიც ხასიათდება მაღალი ქიმიური მდგრადობით. ამ კათიონიტის ფოტოგრაფიული გამოსახულება მოცემულია 1-ლ ნახატზე.

კათიონიტი Ky-2 გამოყენებულ იქნა როგორც წყალბადის, ასევე ნატრიუმის ფორმაში. წყალბადის ფორმაში არსებულ კათიონიტს უნარი შესწევს შეიერთოს ღვინიდან კალიუმის, კალციუმის, რკინის, სპილენძის და ა. შ. კათიონები

და ხსნარს გადასცეს მათი ექვივალენტი (ტოლფასი) წყალშებულების იონები. ასეთ შემთხვევაში კათიონიტი ახდენს ტიტანუმის ტიტრული და რეალური მუავიანობის გაზრდას.



ნახ. 1. კათიონიტი Ky-2 გადიდებული 80-ჯერ.

ნატრიუმის ფორმაში არსებულ კათიონიტს უნარი შეს-
წევს შეიერთოს ღვინიდან კალიუმის, კალციუმის, რკინის,
სპილენის და ა. შ. კათიონიტები და ხსნარს გადასცეს მა-
თი ექვივალენტი (ტოლფასი) ნატრიუმის იონები. ასეთ შემ-
თხვევაში კათიონიტი არ ახდენს ღვინის ტიტრული და რეა-
ლური მუავიანობის გაზრდას.

მეღვინეობის პრაქტიკაში ცნობილი ცილოვანი და მე-
ტალური სიმღვრივის თავიდან აცილების მიზნით ლაბორა-
ტორიულ პირობებში მოვახდინეთ ღვინოების დამუშავება იმ:
თვალსაზრისით, რომ ღვინის ერთნაირ რაოდენობას ვატა-
რებდით კათიონიტის სხვადასხვა რაოდენობაში.

ღვინოები დამუშავებულ იქნა შემდეგი ვარიანტების მი-
ხედვით (ცხრ. 2).



№ რიცხვი	დამუშავების ვარიანტი	კათიონის ლიკვიდა მისი	კათიონისტის გაცვლითი ტემპობა ებები.	სულტინის გა- ტანებული ლიკვიდა ლენბაზ.	სულტინის ლიკვიდა მეტინი	სულტინის გატანებული ნის გაცვლას
1	—	—	—	—	—	—
2	I ვარიანტი	Ky—2H ⁺	5,0	1 ლიტრი	1,6 სმ	2 ლ/ს-ში
3	II ვარიანტი	Ky— ⁻ H ⁺	10,0	"	1,6 სმ	"
4	III ვარიანტი	Ky—2H ⁺	15,0	"	1,6 სმ	"
5	IV ვარიანტი	Ky—2H ⁺	20,0	"	1,6 სმ	"
6	V ვარიანტი	Ky—2Na ⁺	5,0	"	1,6 სმ	"
7	VI ვარიანტი	Ky—2Na ⁺	10,0	"	1,6 სმ	"
8	VII ვარიანტი	Ky—2Na ⁺	15,0	"	1,6 სმ	"
9	VIII ვარიანტი	Ky—2Na ⁺	20,0	"	1,6 სმ	"

მიღებული შედეგები მოყვანილია შე-3 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ირკვევა, H⁺ ფორმაში არსებულ კათიონიტით დამუშავებულ საკვლევ ნიმუშებში ადგილი აქვს ღვინის ტიტრული და რეალური მუავიანობის ზრდას, ხოლო Na⁺-ის ფორმაში არსებული იგივე კათიონიტი მოკლებულია ამ თვისებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კათიონიტის შეირ მძიმე ლითონების (რკინა, სპილენძი) და აზოტოვან ნივთიერებათა შემცირება. გარდა ამისა, ადვილად შეიმჩნევა, რომ რაც უფრო მეტი რაოდენობით იქნება აღებული იონიტები, მათ ზედაპირზე მით უფრო მეტი რაოდენობით შთანთქმება რკინა, სპილენძი და აზოტოვანი ნივთიერებანი.

მიღებული შედეგების შეჯამების შედეგად მივღივართ შემდეგ დასკვნამდე:

1. იონმცვლელი ფისების გამოყენება მეღვინეობაში მეტად პერსპექტიულია და იგი შეიძლება ფართოდ იქნეს დანერგილი. ისინი არავითარ უარყოფით გავლენას არ ახდენენ ღვინის გემოზე;

2. იონმცვლელი ფისების გამოყენება საშუალებას იძლევა საჭირო შემთხვევაში ხელოვნურად მოვახდინოთ ღვინის ტიტრული მუავიანობის გაზრდა. ეს მეტად ხელსაყრელია იმ შე-

ଅନ୍ତର୍ଭାବ	ଲାଭଶୀଳକାରୀ ଗ୍ରାହଣକାରୀ	ପାଇଁନିର୍ମାଣ କାର୍ଯ୍ୟାଙ୍କ	ପାଇଁନିର୍ମାଣ କାର୍ଯ୍ୟାଙ୍କ	ଗ/ଲ୍ଲ.				ଗ/ଲ୍ଲ.									
				ପାଇଁନିର୍ମାଣ କାର୍ଯ୍ୟାଙ୍କ													
1	ବ୍ୟାକରଣକାରୀ	—	—	10,4	0,9932	19,552	6,67	1,09	1,41	0,47	0,54	0,175	13	10,41	1,44	3,47	7,10
2	I ଗାରଣାର୍ଥୀ	Ky—2H+	Ky—2H+	10,4	0,9929	19,185	6,75	1,09	1,41	0,47	0,54	0,162	138	9,45	—	3,22	7,45
3	II ଗାରଣାର୍ଥୀ	Ky—2H+	Ky—2H+	10,4	0,9925	19,100	7,17	1,09	1,41	0,47	0,54	0,157	138	8,00	—	3,19	7,45
4	III ଗାରଣାର୍ଥୀ	Ky—2H+	Ky—2H+	10,4	0,9923	18,780	7,46	1,09	1,41	0,47	0,54	0,146	138	7,50	—	3,16	7,45
5	IV ଗାରଣାର୍ଥୀ	Ky—2H+	Ky—2H+	10,4	0,9920	18,690	7,60	1,09	1,41	0,47	0,54	0,134	138	7,15	—	3,14	7,50
6	V ଗାରଣାର୍ଥୀ	Ky—2Na+	Ky—2Na+	10,4	0,9932	19,215	6,67	1,09	1,41	0,47	0,54	0,160	138	8,9	—	3,45	7,43
7	VI ଗାରଣାର୍ଥୀ	Ky—2Na+	Ky—2Na+	10,4	0,9930	19,113	6,67	1,09	1,41	0,47	0,54	0,155	138	7,75	—	3,45	7,40
8	VII ଗାରଣାର୍ଥୀ	Ky—2Na+	Ky—2Na+	10,0	0,9932	18,916	6,67	1,09	1,41	0,47	0,54	0,146	138	7,50	—	3,45	7,40
9	VIII ଗାରଣାର୍ଥୀ	Ky—2Na+	Ky—2Na+	10,4	0,9930	18,790	6,67	1,09	1,41	0,47	0,54	0,135	138	7,17	—	3,45	7,45



მთხვევაში, როდესაც ღვინოები დაბალმუდანი დგება კულტურული
ჭირობების მუდანობის მომატებას;

3. იონმცველი ფისხბი საუკეთესო აღსორებენტები არიან,
ისინი საუკეთესოდ შთანთქავენ ლითონებს და აზოტოვან
ნივთიერებებს. ამიტომ სათანადო დამუშავების შედეგად შე-
გვიძლია ჩენი სურვილისამებრ ვცვალოთ ლვინოში ლითონ-
თა და აზოტოვან ნივთიერებათა რაოდენობა და დავიყვანოთ
ისინი საჭირო დოზამდე;

შავი გასი. მთრიმლავი და საღებავი ნივთიერებები რკინისთან ურთიერთქმედების დროს წარმოქმნიან ნალექს, რომელსაც ტანინისა და რკინის სხვადასხვა შეფარდების მიხედვით ძეგლს სხვადასხვა ფერი—ისაფერიდან შავ ფერამდე.

ტანატების წარმოქმნა დაკავშირებული არის რეაქციაზე; მაღალ pH-ზე რკინისა და ტანინის მცირე როლებისაც კი უნარი აქვს წარმოქმნას რკინის ტანატები, მაშინ როლებსაც დაბალ pH-ზე ეს რეაქცია სულაც არ მიმდინარეობს, ან მიმდინარეობს ნელა.

როდესაც $\text{pH} = 3,2$, ტანატების წარმოშობა ნაკლებად შეიმჩნევა, რაც იმით აიხსნება, რომ მჟავები ხელს უშლიან ტანატის წარმოქმნას. სჭრედ ამიტომ არის, რომ ღვინოში რკინის მცირე რაოდენობის დროს (10—15 მილიგრამი) შავი კასის თავიდან აცილების მიზნით ღვინოს უმატებენ ღვინის ან ლიმონის მჟავას, რითაც აღწევენ რეალური მჟავიანობის გაზრდას და რკინის მარილების სწნადობას.

ლვინო, რომელიც მიღრეკილებას იჩენს შავი კასისადმი, შეიძლება წლების განმავლობაში ინარჩუნებდეს გამჭვირვა-ლობას, მაგრამ დაბალ ტემპერატურაზე გადაღების დროს კი აიმღვრეს, რაღვანაც დაბალ ტემპერატურაზე ლვინო გაცი-ლებით მეტ ჟანგბადს შთანთქავს, ვიდრე მაღალ ტემპერა-ტურაზე. ამიტომა, რომ შავი კასი მუდამ იჩენს ხოლმე თავს მაღალი ჟანგვა-ალთეგნითი პოტენციალის დროს.

ხშირად შევი კასით დაზაღიანებული ღვინოები თავის-თავად იწმინდებიან მას შემდეგ, როდესაც რეინა-ტანატოვანი

ნაერთები გამოილექებიან ჭურჭლის ფსკერზე. ასეთი დალექვა ძალიან ნელა მიმდინარეობს, ამიტომ მის დასახმარებელი რებლად ახდენენ ღვინის გადაღებას განიავებით, შემდეგ კი მიმართავენ ულატინით გაწებვას.

შავი კასის გამოსაცნობად 100 მილილიტრ ღვინოს უმატებენ 0,1 გ ნატრიუმის ჰიდროსულფიტს (NaHSO_3). თუ ღვინო შავი კასითაა დაზადიანებული, სიმღვრივე მაშინვე გაქრება, შემდეგ კი გაჩნდება ინტენსიური სიმღვრივე კოლოდური გოგირდის წარმოქმნის შედეგად.

თეთრი კასი. აერაციის შედეგად თეთრ ღვინოებში გამოიყოფა თეთრი ან რუხი ფერის ნალექი, რომელიც შეიცავს სამვალენტოვან რკინას, ფოსფორის მჟავას, კალციუმს და ორგანულ ნივთიერებათა ნიშნებს.

სიმღვრივის წარმოშობა იმით აიხსნება, რომ ღვინის აერაციის შედეგად ორგალენტოვანი რკინა გადადის სამვალენტოვან ფორმაში და წარმოქმნის ფოსფორმჟავარკინას, რომელიც სუსტად იხსნება ღვინოში. ფოსფორმჟავარკინის მოლექულები თანდათან მსხვილდებიან და წარმოშობენ კოლოიდურ ნაწილაკებს; წარმოქმნილი ნალექი ძალიან მდგრადია და ნელა ილექება. თუ ასეთ ღვინოს შევინახავთ სინათლეზე და ჰაერმიუკარებლად, სიმღვრივე გაქრება: სამვალენტოვანი რკინა აღდგება ორგალენტოვანად, ხოლო, როგორც ცნობილია, ღვინოში არსებული ორგალენტოვანი რკინის მარილები ღვინოში ხსნადი არიან.

ღვინოების მიდრეკილება თეთრი კასისადმი დგინდება შემდეგნაირად: 100 მილილიტრ ღვინოს უმატებენ 5 წვეთ $3^{\circ}/_0$ -იან წყალბადის ზეჟანგს. ღვინის ამღვრევა ან სიმღვრივის გაძლიერება იმის მაჩვენებელია, რომ ღვინო მიდრეკილებას იჩენს თეთრი კასისადმი.

სიბნელე და დაბალი ტემპერატურა ხელს უწყობს თეთრი კასის წარმოქმნას. ასე, მაგალითად, ღვინო, რომელიც 15° ტემპერატურაზე მიდრეკილებას იჩენს თეთრი კასისადმი, არ განიცდის კასს 22° ტემპერატურაზე.

ნ. 6. პროსტოსერდოვის აზრით, თეთრი კასი წარმოიქმნება მაღალი ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალის დროს. ჟანგვი-



თი პროცესების შენელება კი შეიძლება მიღწეულ იქნეს გირდოვანი მფავას ანჭიდრიდის გამოყენებით.

პ. 6. უნგურიანის მიერ დადგენილ იქნა, რომ ღვინოში თეთრი კასი წარმოქმნება რკინის, ფოსფორისა და მფავიანობის სხვადასხვა რაოდენობრივი შეფარდების შედეგად. მან ეს კანონზომიერება გამოხატა შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{a \times b}{C},$$

სადაც: K არის თეთრი კასისადმი ღვინის მდგრადობის კოეფიციენტი;

a —ღვინოში რკინის რაოდენობა გამოსახული მგ ლიტრზე;

b —ფოსფორის რაოდენობა მგ/ლიტრზე;

C —ღვინის ტიტრული მფავიანობა გამოსახული $\%_{\text{vol}}$.

ღვინოები, რომლებშიც $K \leq 0,16$, მდგრადი არიან თეთრი კასისადმი. თუ ეს შეფარდება $0,16\text{-}ზე$ მეტია, მაშინ მუდამ არსებობს თეთრი კასის წარმოქმნის საშიშროება.

ასეთი განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ თეთრი კასისადმი ღვინის გამძლეობაზე. იგი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა ღვინომასალების დაკუპაჟების დროს და საჭიროებისდა მიხედვით მივმართოთ რკინის შემცირებას ან ტიტრული მფავიანობის მომატებას.

სპილენძის კასი. მეტალურ სიმღვრივეთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სპილენძის კასი, რომელიც წარმოშობის ქიმიზმით ძლიერ განსხვავდება შავი და თეთრი კასისაგან. იგი თავს იჩენს ისეთ ღვინოებში, რომლებიც ჭარბი რაოდენობით შეიცავენ გოგირდოვანი მფავას ანჭიდრიდს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ჭურჭელი ჰერმეტულად არის დახურული და ღვინოში სპილენძის რაოდენობა აღწევს $0,5 - 0,6$ მილიგრამს ლიტრზე. მისი წარმოშობის მექანიზმი სქემატურად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ორგალენტოვანი სპილენძის იონი აღდგება ერთვალენტოვან სპილენძად; ეს უკანასკნელი კი გოგირდმფავას აღადგენს გოგირდწყალბადად და თვითონ გადადის ორგალენტოვან ფორმაში, რასაც თან ახლავს ხსნადი გოგირდოვანი სპილენძის კოლოიდის წარმოშობა, რომელიც შემდეგ წარმოქმნის ნაფლეთებს.

მთელი რიგი მონაცემებით დადგენილია, რომ ღვინოში
სპილენძის მოხვედრის მიზეზი არის შაბიამნით ვაზის წილის მიზეზი
ბა. რთველის დასაწყისისათვის (განსაკუთრებით გვალვიან
პირობებში) ყურძენი ვერ ასწრებს ბორდოს ხსნარისაგან
მთლიანად გაწმენდას და ამრიგად სპილენძი გადადის ყურძენის
ტკბილში და შემდეგ ღვინოში. ღვინოში სპილენძის შეტანის
მეორე წყაროს წარმოადგენა ტექნოლოგიური მანქანა იარა-
ლები და აპა რატურა.

პროფ. ქ. მოდებაძისა და პროფ. გ. ი. ბერიძის მიერ
დადგენილ იქნა, რომ შეუწამლავ ვაზიდან მიღებულ ყურძენის
წვენში სპილენძის რაოდენობა მეათედ მიღიგრამს არ აღე-
მატება, ხოლო დადუღების შემდეგ ამ რაოდენობიდან მხო-
ლოდ ნიშნებიღა რჩება. შაბიამნით ვაზის წამლობის შედეგად
სპილენძის რაოდენობა ლიტრ ღვინოში ზოგჯერ 1—14 მი-
ღიგრამამდე აღწევს, მაშინ როდესაც სანიტარული თვალ-
საზრისით სპილენძის დასაშვებ ნორმად მიღებულია ლიტრზე
4—5 მიღიგრამი.

ალკოჰოლური დუღილის შედეგად სპილენძის რაოდენო-
ბა მცირდება. ამიტომ არის, რომ მშრალ ღვინოებში სპილენძის
რაოდენობა გაცილებით მცირეა, ვიდრე ტკბილ ღვინოებში,
რომლებშიც დუღილი შეჩერებულია დასპირტების გზით.

სპილენძის კასის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალურ ღო-
ნისძიებას წარმოადგენს სისხლის ყვითელი მარილის გამოყე-
ნება. ხშირად ხმარობენ აგრეთვე თევზის წებოს, ბენტონიტს
და კაოლინს.

2. პრისტალური სიმღვრივა

ღვინის ტიტრული და რეალური მჟავიანობა განსაზღვ-
რავს ღვინის ფერს, ხარისხსა და სტაბილურობას. დაბალმჟა-
ვიანი ღვინოები ადგილად ივადდებიან.

ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ სპირტის
დაგროვებასთან ერთად ადგილი აქვს ღვინის ქვის გამოლექ-
ვას, რაც იწვევს მჟავიანობის შემცირებას. ღვინის ქვის გა-
მოლექვის შედეგად მჟავიანობის შემცირება წმინდა ფიზიკურ-
ქიმიური პროცესია და ამიტომ მჟავიანობის შემცირების



ბიოლოგიურ პროცესზე ცალკე გვიქნება ლაპარაკი, საც განვიხილავთ ბიოლოგიურ სახის სიმღვრივეს.

ღვინის ფორმირების პროცესში ადგილი აქვს ღვინო-მჟავა მარილების გამოლექვას. ღვინომჟავა მარილები და განსაკუთრებით კალიუმის მჟავე მარილი გაცილებით უკეთ იხსნება წყალში, ვიდრე სპირტიან წყალხსნარებში. ამასთან მათი ხსნადობა მცირდება ტემპერატურის დაწევისთან ერთად.

ღვინომჟავა მარილების გამოლექვა ალკოჰოლური ღულილის დროს და ღვინის ფორმირების სტადიაში წარმოადგენს ნორმალურ პროცესს, რომელიც აუმჯობესებს ღვინის ხარისხს, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ღვინის ქვის გამოლექვა ხდება ბოთლებში ჩამოსხმულ ღვინოებში. ამ დროს იმღვრევა ღვინო და ეცემა მისი ხარისხი.

პ. 6. უნგურიანმა და გ. ი. კალუგინამ შეადგინეს ღვინოში ღვინის ქვის ხსნადობის ქვემოთ მოყვანილი ცხრილი სიმაგრესთან და pH-თან დაკავშირებით, როდესაც ღვინის გაციება ხდება გაყინვის წერტილამდე (ცხრილი 4).

ცხრილი 4

სიმაგრე 0-6 % ქვემოთ	ღვინის ქვის წონა გ/ლიტრზე, რომელსაც უნარი შესწევს იყოს გახსნილ მდგრადობაში ღვინის გაყინვის წერტილამდე გაციების დროს pH-ის სხვადასხვა მნიშვნელობისას						
	2,5	2,75	3,00	3,25	3,50	3,75	4,00
10,0	2,50	2,25	2,00	1,60	1,20	1,60	2,00
12,5	2,40	2,20	1,95	1,50	1,05	1,40	1,80
15,0	2,30	2,10	1,90	1,40	0,90	1,25	1,60
17,5	1,80	1,65	1,50	1,20	0,85	1,15	1,45
20,0	1,30	1,20	1,05	0,95	0,80	1,05	1,35

ვიცით რა ღვინის სიმაგრე, pH და ღვინის ქვის რაოდენობა, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, არის თუ არა ღვინის



ქვის გამოლექვის საშიშროება. თუ ლვინის სიმაგრე $12,5^{\circ}\text{C}$ -ზე მცირდება ხოლო მისი $\text{pH}=3,00$, მაშინ ლვინოში დასაშვებია ლვინის ქვა $1,95$ გრამის რაოდენობით. ეს რაოდენობა არ გამოილექება ლვინიდან, მაგრამ საკმარისია იგი გაიზარდოს, რომ შეიქმნება ლვინის ქვის გამოლექვის საშიშროება.

კრისტალური სიმღვრივის გამოცნობა ხდება შემდეგნაირად: 50 მილილიტრ ლვინოს ვუმატებთ 5 წვეთ $10^{\circ}/\text{o}$ -იან მარილმჟავას. $30 - 40^{\circ}\text{C}$ გაცხელების შედეგად სიმღვრივე ქრება და ლვინო გამჭვირვალე ხდება.

კრისტალური სიმღვრივის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ლვინის თერმული დამუშავება, კერძოდ სიცივით დამუშავება.


3. მიკრობიოლოგიური ცისლი

ლვინის მიკროფლორის შესწავლას ერთი საუკუნის ისტორია აქვს. იგი იწყება ლუი პასტერის კლასიკური გამოკვლევებით.

მიკრობიოლოგიური სიმღვრივის ხელშემწყობი პირობებია დაავადებული და დაზიანებული ყურძნი, ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა და უსუფთაობა. იგი განსაკუთრებით იჩენს თავს, როდესაც მოსავალი დაზიანებულია სეტყვით, სიღამპლით ან როდესაც მუავიანობა დაბალია.

გასული საუკუნის 80 -იან წლებამდე ფიქრობდნენ, რომ ლვინის მუავიანობის შემცირების ერთადერთი მიზეზი ლვინის ქვის გამოყოფა იყო. ამ აზრის უსაფუძვლობა დაადგინა კულიშმა 1889 წელს. მან ექსპერიმენტულად დაასაბუთა, რომ მუავიანობის შემცირება შეიძლება გაგრძელდეს მას შემდეგაც, როდესაც უკვე შეწყვეტილია ლვინის ქვის გამოლექვა. მუავიანობის შემცირება მართვის ხილის ლვინოებში, რომლებშიც სულაც არ არსებობს ლვინის მუავა და არსებობს მხოლოდ ვაშლის მუავა. შემდეგ დაადგინეს ისიც, რომ ვაშლის მუავა ლვინოშიც მოიპოვება და ამრიგად მივიღნენ დასკვნამდე, რომ მუავიანობის შემცირება შედეგია ვაშლის მუავის დაშლისა.

ვაშლის მუავას დაშლა რძის მუავად და ნახშირორჟანგა გაზად წმინდა ფიზიოლოგიურ პროცესს წარმოადგენს:



მიკროორგანიზმები ღვინის სხვადასხვა სახის დაავადებას იწვევენ. მათგან აღსანიშნავია ტურნით დაავადება, გალორ-ჭობა, გამწარება, დაძმარება და სხვ.

მიკროორგანიზმებით გამოწვეული სიმღვრივე აღვილად გამოიცნობა მიკროსკოპის საშუალებით. მეღვინეობის ლიტე-რატურაში საფუვრებით გამოწვეული სიმღვრივეები აღწერი-ლია ნ. კ. საენჯოს, პ. ნ. უნგურიანის, დ. ნ. ნეჩაევის, ს. ე. მილაკოვას, მ. ა. მალცევასა და სხვათა მიერ.

მიკროორგანიზმების განვითარებას ძალიან აფერხებს ღვინის საერთო მჟავიანობა და განსაკუთრებით რეალური მჟავიანობა. ბაქტერიები სუსტად მრავლდებიან, როდესაც $\text{pH}=3.4$. თუ ღვინის pH მაღალია, ამ შემთხვევაში შეიძლება თავი იჩინოს საფუვრების ავტოლიზმა. ვაქსმანის და დევისო-ნის შიხედვით საფუვრების ავტოლიზისათვის აპტიმალური პირობებია $\text{pH } 5-6$, ხოლო ტემპერატურა $45-50^\circ$. რაც უფრო ახლო ღვინო ამ პირობებთან, მით უფრო მოსალოდ-ნელია საფუვრების ავტოლიზი.

საფუვრებით გამოწვეული სიმღვრივე დაკავშირებულია არა მარტო საფუვრების არსებობაზე, არამედ აგრეთვე ისეთ ნივთიერებებზე, როგორიც არის შაქარი, უანგბადი, აზოტი, ფოსფორი, რომელიც აუცილებელია საფუვრების გამრავლე-ბისათვის.

წითელ ღვინოებში ნაკლებად შეიმჩნევა საფუვრებით გა-მოწვეული სიმღვრივე. ამ მოვლენას იმით ხსნიან, რომ მთრიმ-ლავი და სალებავი ნივთიერებები უანგბადის მოხმარებაში ეცილებიან საფუვრებს, რის გამოც ეს უკანასკნელი უანგბა-დის ნაკლებობას განიცდიან და სწყვეტენ თავიანთ მოქმე-დებას.



მიკრობიოლოგიური სიმღერიების წინააღმდეგ მრავალ მდგრად და განვითარებულ ლონისძიებას მიმართავენ, რომელთვან აღსანიშნავია პასტერიზაცია, გოგირდოვანი მჟავას ან ციდრიდის, ინფუზორული მიწისა და მდოგვის გამოყენება. საზღვარგარეთ მიმართავენ ანტიბიოტიკებსაც — 1 მგ/ლ აქტივიონი საკმაოდ იცავს ტებილ ღვინოს დაღულებისაგან.

მეღვინის მუშაობა იქეთ უნდა იყოს მიმართული, რომ ღვინო სტერილურ მდგომარეობაში იმყოფებოდეს.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა ღვინის სტერილურობის უზრუნველსაყოფად. ჩვენს ქარხნებში ამჟამად მუშაობს ღვინის სტერილური ჩამოსამის რამდენიმე აგრეგატი, რომლებიც საუკეთესო შედეგს იძლევიან. მათი ფართოდ გამოყენება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ღვინის ხარისხის გაუმჯობესების საქმეს.

შინაგანი

ავტორისაგან	3
I. ღვინის მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორები	5
1. ღვინის რეალური მყავიანობა	5
2. ღვინის ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალი	6
3. ღვინის ბიოლოგიური სიმტკიცის კოეფიციენტი	8
II. ღვინის სიმღვრივის სახეები	10
1. კოლოიდური სიმღვრივე	11
2. კრისტალური სიმღვრივე	25
3. მიკრობიოლოგიური სიმღვრივე	27

რედაქტორი შ. სულაბერიძე
მხატვარი ვ. ალიმბარაშვილი
ტექნიკური ქ. ღლონტი
კორექტორი თ. ცინცაძე

წელმოწერილია დასაბეჭდად 2/VIII 61 წ. ქაღალდის
ზომა 84×108¹/₃₂. სააღრიცხ.-საგამომცემლო თაბაზი
1,17. ნაბეჭდი თაბაზი 1,64. საავტორო თაბაზი 1,11.
უმ 00447 ტირაჟი 5000 შეკვ. № 776
ფასი 5 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიკრაფკომბინატი „კომუნისტი“.
თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат „Коммунисти“ Издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, № 14



Гуджеджиани Гиви Давидович

Причины помутнения вина и способы их устранения

(На грузинском языке)

Государственное издательство

„Сабчота Сакартвело“

Тбилиси

1961

229/623



1000000000
0000000000